პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 284 (20025) ხუთშაბათი, 10 დეკემბერი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ერთიანული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო მეურნეობის მშრომელები დიდი მონდომებით ირჯებიან, რათა ვადამდე შეასრულონ სოციალისტური გეგმა-ვალდებულებები.

მაიაკოვსკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ამაყობს გამრჯე, შრომისმოყვარე ადამიანებით. მათ წლის დამდეგს ივალდებულეს გადაჭარბებით შეესრულებინათ სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვის გეგმა. კოლმეურნეებმა სიტყვა საქმედ აქციეს — 31,6 პროცენტით გადაჭარბეს სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის ბოსტნეულის მიყიდვის წლიურ გეგმას, 105,8 პროცენტით შესასრულეს რძისა და 107,7 პროცენტით ხორცის მიყიდვის დავალებები.

სახელმწიფოსთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. მუყაითი შრომით გამოირჩევა ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ვ. გარუჩავა ხელმძღვანელობს.

* * *

საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ კოლექტივში იკრებს ძალას სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე ხუთწლედის ვალდებულებების ვადამდე შესრულებას.

გაერთიანების ერთმა საწარმომ, ცხრა უბან-ბრიგადამ და ათმა ცვლა-რგოლმა ნოემბრის პირველ რიცხვებშივე შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები და სამშობლოს უპატაჟა ორი წლის გეგმების შესრულება. დეკემბრის პირველ ნახევარში ორი წლის დავალებას ვადაზე ადრე შეასრულებს კიდევ ერთი საწარმო, 16 უბან-ბრიგადა, 50 ცვლა-რგოლი და 2030 მაღაროელი.

გაერთიანების სისტემაში 440 რაიონალიზატორია, მათ წლის დამდეგიდან წარმოებაში უკვე დანერგეს 161 წინადადება, რომელთა ეკონომიკურმა ეფექტმა 1.200 ათასი მანეთი შეადგინა.

სსრკ-აშშ: გავამართლოთ მსოფლიოს ხალხთა იმედები

თეთრ სახლთან მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური შეხვედრის ცერემონია

ვაშინგტონი. 8 დეკემბერი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს პენსილვანია-ავენიუზე — ამერიკის დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, რომელიც პრეზიდენტის რეზიდენციასთან აკავშირებს „კაპიტოლიუმის ბორცვს“, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შენობაა აღმართული, თეთრ სახლთან მ. ს. გორბაჩოვის ოფიციალური შეხვედრის ცერემონიამდე დიდი ხნით ადრე იწყეს თავმოყრა ამერიკელებმა. აქ იყვნენ არა მარტო ვაშინგტონელები, არამედ ქვეყნის სხვა ქალაქების მცხოვრებიც. საბჭოთა და ამერიკული ალმები, მათ რომ ხელში ეკავათ, თითქოს პუნქტირით აღნიშნავდნენ ხაზებს, რომლებიც დღეს ვაშინგტონის შეხვედრას უკავშირებს მილიონობით ადამიანის იმედს.

თეთრი სახლის პერიმეტრით საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ალმები ფრიალებს. შთამბეჭდავია ვეებერთელა დროშების სიდიდე — ალისფერისა, ნამგალი და ურო რომ ამშვენებს, და ვარსკვლავებიან-ზოლიანისა, რომლებიც პრეზიდენტის კანცელარიის შენობის თავზე ფრიალებს.

ადგილობრივი დროით 9 საათი და 58 წუთია. მწყობრში გარინდულა საპატიო ყარაული. თეთრი სახლის ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთი კარიბჭიდან შემოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ავტომობილი მოტოციკლისტთა ესკორტით. ლამის ორასი წლის ტრადიციის თანახმად, ამ სვეტებიან შენობაშია განლაგებული ამერიკის პრეზიდენტთა საცხოვრებელი და სამუშაო ოთახები.

ავტომანქანა ნელა არტყამს ფრეს გზაზე, რომელიც კოტტედ შეკუეჭილ მდელოს ხასხასა ბალახს კვეთს, და დიპლომატთა სადარბაზოსაკენ მიემართება.

10 საათია. მ. ს. გორბაჩოვსა და მის მეუღლეს გულთბილად მიესალმება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. რეიგანი მეუღლითურთ.

ფოტოკორესპონდენტები და ტელერეპორტიორები იჩქარიან აღბეჭდონ ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ხელის ჩამორთმევა. მ. ს. გორბაჩოვი და რ. რეიგანი მათ „ხათრს არ უტეხენ“ და თეთრი სახლის საფეხურებთან ჩერდებიან: საბჭოთა ხელმძღვანელის შეხვედრა ამერიკის მიწა-წყალზე ღირსსახსოვარი ნიმახსვეტია ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში და მის პოზიტიურ შედეგებს მოუთმენლად მოელის მსოფლიო.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ს. თ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ს. ჩერნიაევი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ი. ვ. დუბინინი, სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მდელოზე გადიან. რ. რეიგანმა მ. ს. გორბაჩოვს წარუდგინა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე ადმირალი უ. კროუ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. მეტლოკი, სხვა ოფიციალური პირნი.

მ. ს. გორბაჩოვი და რ. რეიგანი ტრიბუნაზე ადიან. ცერემონიალურ სიჩუმეში დიდებულად ყოერს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნები.

დედაქალაქის თავზე გრიალებს საარტილერიო სალუტის მრავალგზისი ეკო — 21 ზალი. ტრიბუნას საზეიმო მარშით ჩაუარა საპატიო ყარაულის ორკესტრმა.

მ. ს. გორბაჩოვს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რ. რეიგანმა.

რ. რეიგანის გამოსვლა

გენერალურო მდივანო და ქალბატონო გორბაჩოვა!

უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე თეთრ სახლში მიმღია უცხოეთის სახელმწიფოების მრავალი ხელმძღვანელი. მაგრამ დღევანდელი ვიზიტი, ალბათ, მნიშვნელობით აღემატება მრავალ იმ ვიზიტს, რომლებიც უსწრებდა მას, რადგან ეს მოკავშირეებისა კი არა, მეტოქეების შეხვედრაა.

და, მაინც, ვფიქრობ, თქვენი აქ ყოფნის ჟამს დაინახავთ: ამერიკელი ხალხის აზრით თუ კაცს არ იცნობ, მეგობარია, რომელიც ჯერ კიდევ უნდა გაიცნო, და რომ ჩვენს ხალხს უხვად აქვს მომადლებული კეთილი ნების მარაგი.

მართლაც, ვიცი, რომ ჩვენი ქვეყნის მრავალმა მოქალაქემ გამოგიგზავნათ თქვენ და ქალბატონ გორბაჩოვს წერილები და თავიანთი სახლების გასაღებიც კი. ეს გულწრფელი ეესტი, რა თქმა უნდა, ასახავს მრავალი ამერიკელის გრძნობას თქვენი და ქალბატონმა გორბაჩოვასადმი, აგრეთვე თქვენი ხალხისადმი.

ხშირად მგონია, რომ ჩვენს ხალხებს უკვე დიდი ხნის წინათ უნდა დაეყარებინათ უფრო მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ, მოდით, ვაღიაროთ, ეს ასეა. ეს ასეა, და, ეს ასეა, ჩვენ ქვეყნებს ხალხებიც ძალზე დიდხანს იყვნენ მომაკვდინებელი გამალებული შეიარაღების ბატონ-პატრონნებიც და ტყვეებიც. ეს სიტუაცია ბედის წერა, ისტორიის გარდაუვალი მსვლელობის ნაწილი არ არის.

ისტორიას ჩვენ ვქმნით და მისი მიმართულების შეცვლაც ჩვენს ხელთაა. მაგრამ ასეთი ცვლილებისა ხალხმწიფო მდივანი ჯ. შულცი, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე ადმირალი უ. კროუ, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჯ. მეტლოკი, სხვა ოფიციალური პირნი.

მ. ს. გორბაჩოვი და რ. რეიგანი ტრიბუნაზე ადიან. ცერემონიალურ სიჩუმეში დიდებულად ყოერს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქის თავზე გრიალებს საარტილერიო სალუტის მრავალგზისი ეკო — 21 ზალი. ტრიბუნას საზეიმო მარშით ჩაუარა საპატიო ყარაულის ორკესტრმა.

მ. ს. გორბაჩოვს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რ. რეიგანმა.



თეთრ სახლში შეხვედრის ცერემონია. საკადესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ბატონო გენერალურო მდივანო, თქვენს ხალხს ასეთი ანდაზა აქვს: კარგ შფოთს ცუდი მშვიდობა სჯობსო. დაძაბული მუშაობის, ამ მიზნის ერთგულებისა და რეალიზმის დიდი დოზის წყალობით სწორედ ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ჩვენს ქვეყნებს შორის წინათ არსებული ცუდი მშვიდობიდან კარგ მშვიდობაზე.

დღეს ჩვენ ვდგამთ გიგანტურ ნაბიჯს ამ მიმართულებით ისტორიული ხელშეკრულების ხელმოწერის წყალობით, რომელიც მოაშორებს მსოფლიოს ამერიკული და საბჭოთა ბირთვული შეიარაღების მთელ კლასს. ბატონო გორბაჩოვ, მსოფლიო ჩვენ შემოგვცქერის და თვალყურს გვადევნებს. და ჩვენც ბევრი რამ შეგვიძლია ვუჩვენოთ მას. ვიმედოვნებ, რომ მომავალი რამდენიმე დღის მანძილზე პროგრესს მივაღწევთ სხვა შეთანხმებათა დადების საქმეში, რაც სანაბეჭროდ შეგვამცირებინებს ჩვენს სტრატეგიულ ბირთვულ არსენალებს.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა გენერალს, მოგვიანებით კი მარშალს, ჟუკოვს უყვარდა ერთი ჯარისკაცის ამბის მოყოლა, რომელსაც უცნობებია დათვი დაეჭირეო. წამოიყვანეო, უთხრეს, და უპასუხია: არ შემიძლია, არ მიშვებსო. გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, ამ ჯარისკაცისა არ იყოს, ჩვენი ქვეყნების ხალხებიც ძალზე დიდხანს იყვნენ მომაკვდინებელი გამალებული შეიარაღების ბატონ-პატრონნებიც და ტყვეებიც. ეს სიტუაცია ბედის წერა, ისტორიის გარდაუვალი მსვლელობის ნაწილი არ არის.

ისტორიას ჩვენ ვქმნით და მისი მიმართულების შეცვლაც ჩვენს ხელთაა. მაგრამ ასეთი ცვლილებისა და ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ვაწერთ ხელს, იმის შესანიშნავი მაგალითია, რაოდენ დიდ ნაყოფს იღებს მოთმინება. 6 წელზე მეტი ხნის წინათ, 1981 წლის 18 ნოემბერს, მე პირველად შემოგთავაზეთ ის, რასაც შემდგომში „ნულოვანი ვარიანტი“ ეწოდა. და ეს წინადადება იყო მარტივი, შეიძლება ითქვას, საოცრად მარტივი.

წინა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით ამ ხელშეკრულებამ არა მხოლოდ დააკანონა არსებული მდგომარეობა ან შეიარაღების ზრდა. იქ ლაპარაკი იყო არა მარტო იმაზე, რომ კონტროლი დაუწესდეს გამალებულ შეიარაღებას, იქ ისტორიაში პირველად „შეიარაღების შემცირების“ ფორმულირება შეცვალა „შეიარაღებისადმი კონტროლის“ ფორმულირებამ, და ამ შემთხვევაში საქმე ეხება ამერიკული და საბჭოთა ბირთვული რაკეტების მთელი კლასის სრულ ლიკვიდაციას. ამან, რა თქმა უნდა, მოითხოვა მკვეთრი ძვრა აზროვნებაში და გარკვეული დრო იმისათვის, რომ ეს მიდგომა გასაგები გამხდარიყო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. რეაგირება მასზე არცთუ ერთმნიშვნელოვანი იყო: ზოგს ნულოვანი ვარიანტი აუხდენელ ოცნებად და რაღაც არარეალურად ესახებოდა. ზოგისთვის კი იგი მარტოოდენ პროპაგანდისტული ფანდი იყო. მაგრამ მოთმინების, შეუპოვრობისა და ამ მიზნის ერთგულების წყალობით ეს აუხდენელი ოცნება რეალობად ვაქციეთ. ბატონო გენერალურო მდივანო, დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით კრილოვის ცნობილი იგავ-არაკი „გედი, კიბო და ქარიყლაპია“. ერთხელ ამ სამეულმა გადაწყვიტა ადგილიდან დაეძრა ურემი და შეება შიგ. ურემი მძიმე არ იყო, მაგრამ მთელი ჯაფის მიუხედავად, ვერაფრით ვერ დაძრეს ადგილიდან. საქმე ის არის, რომ გედი ზემოთ ეწეოდა, კიბო უკან-უკან იხევდა, ქარიყლაპია კი წყლისკენ მიიწევდა. საბოლოოდ ურემს გახდნენ და ურემი ახლაც იქ დგას.

შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ზნეობის ცნებებში ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავ სერიოზული და ფუძემდებელი განსხვავებაა. მაგრამ დღეს, ყოველ შემთხვევაში, ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით ვხედავთ, რის მიღწევა შეიძლება, როცა ერთი მიმართულებით ვიწევთ ჭიანს. მხოლოდ ციფრები მეტყველებს ამ შეთანხმების დიდ მნიშვნელობას: საბჭოთა მხარე 1500-ზე მეტ უკვე განლაგებულ ქობინს მოხსნის რაკეტებიდან, და მოისპობა მიწისზედა ბაზირების ყველა საშუალო სიშორის რაკეტა, მათ შორის სს-20 რაკეტები.

ჩვენი მხრივ მოვსპობთ ყველა „პერშინგ-2“ რაკეტას და მიწისზედა ბაზირების ფრთოსან რაკეტებს, რომლებზეც 400-ზე მეტი ქობინია. დამატებით სათადარიგო რაკეტებს ორივე მხარე აგრეთვე მოვსპობთ.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა სცილდება წმინდა ციფრობრივი ცნებების ფარგლებს. ჩვენ ვიცით ძველი რუსული ბრძნული ანდაზა, და, დარწმუნებული ვარ, თქვენც იცით იგი, ბატონო გენერალურო მდივანო, თუმცა ჩემი გამოთქმით მისი გაგება გაგიჭირდებათ, ამ ანდაზაში ნათქვამია: ენდე, მაგრამ შეამოწმეო.

მ. ს. გორბაჩოვი: ამას ყოველ შეხვედრაზე ვიმეორებთ **(სიცილი, ტაში).**

რეიგანი: მე იგი მომწონს.

ეს შეთანხმება ითვალისწინებს კონტროლის უმკაცრეს რეჟიმს, რომელიც ოდესმე განხორციელებულა, როცა ინსპექტორთა ჯგუფები პრაქტიკულად იცხოვრებენ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, აგრეთვე სხვა სახეობათა შემოწმებას ადგილებზე, ეს ხელშეკრულება იცავს ამერიკის მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს, და იგი აგრეთვე ხორცს ასხამს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს — მხარეების სამხედრო პროგრამებისა და შეიარაღებული ძალების მიმართ მეტ საჯაროობაზე მოთხოვნილებას.

შეგვიძლია მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ისტორიული ხელშეკრულება იქნება არა თვითმიზანი, არამედ დასაბამს მისცემს სამუშაო ურთიერთობას და საშუალებას მოგვცემს ხელი მოვკიდოთ ჩვენ წინაშე დასახულ სხვა პრობლემებს, ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიც არის: ბირთვული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ბალანსი, დამანგრეველი და ტრაგიკული რეგიონალური კონფლიქტები, რომლებიც ჩვენი პლანეტის ესოდენ ბევრ რეგიონში ხდება, და ადამიანის უფლებებისა და იმ ბუნებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ღმერთმა ყველა ადამიანს მიანიჭა.

მინდა მადლობა გადავუხადო და მივულოცო ყველა აქ დამსწრეთ, რომლებმაც დიდი ძალისხმევა მოაბმარეს იმას, რომ ეს ოცნება ახდენილიყო, და უწინარესად ელჩებს გლიტმანსა და ობუზოვს. მინდა კიდევ ერთი რუსული ანდაზა მოვიყვანო — როგორც ხედავთ, რუსული ანდაზების სპეციალისტი ვხდები: მოსავალი ცვარს კი არა, ოფლს მოჰყავს. მინდა გენერალურ მდივანს გორბაჩოვს შევთავაზო, რომ ელჩებს მივცეთ უკანასკნელი განკარგულება: ისარგებლეთ დამსახურებული დასვენებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო ქალბატონო რეიგან!

ქალბატონებო და ბატონებო! ამხანაგებო!

გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თბილი შეხვედრისა და კეთილი მოსალმების სიტყვებისათვის.

ჩვენი ქვეყნების მთავრობებს, მე და თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ისტორიამ დაგვაკისრა საპატიო მოვალეობა — გავუმართლოთ იმედი ამერიკელ და საბჭოთა ადამიანებს, მთელი მსოფლიოს ხალხებს — პატიოსნად, ერთობლივი გარჯით ვაჯობოთ გამალებული შეიარაღების ლოგიკას.

მსოფლიო განვითარებაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა არჩევანს მოვახდენთ ახლა, რა გაიმარჯვებს: ცივი ომისაგან შემორჩენილი შიში და ცრურწმენები, რომლებსაც კონფრონტაცია მოსდევს, თუ საღი აზრი, რომელიც კაცობრიობის გაძლება-გადარჩენის ინტერესებისათვის სამოქმედოდ გვიხმობს.

ჩვენ საბჭოთა კავშირში უკვე მოვახდინეთ არჩევანი. კარგად გვესმის — ჩვენ გვყოფს არა მარტო ოკეანეები, არამედ აგრეთვე ისტორიული, იდეოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ხასიათის ღრმა განსხვავებანი.

მაგრამ თანამედროვე პოლიტიკის სიბრძნე ის არის, რომ არ გამოვიყენოთ ეს განსხვავებანი კონფრონტაციის, მტრობის, გამალებული შეიარაღების საბაბად.

ამერიკელების აზრით, ადამიანებს საშუალება უნდა ჰქონდეთ იქონიონ თავ-თავიანთი შეხედულებანი, და ამასთანავე პატივი სცენ ერთმანეთს. სიამტკბილობით იცხოვრონ — ასეთია სულისკვეთება, დემოკრატიული სულისკვეთება, რომლითაც ვიხელმძღვანელებ ჩვენს შეხვედრებზე.

მაშ ასე, ჩემი და ქალბატონი რეიგანის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქის სახელით: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, გენერალურო მდივანო გორბაჩოვ და ქალბატონო გორბაჩოვა.

მიკროფონთან მიდის მ. ს. გორბაჩოვი.

ჩვენი ვიზიტი იწყება იმ დღეებში, როდესაც 46 წლის წინ შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაება. და 1941 წლის ამავე დღეებში დაიწყო ფაშისტთა ჯარების განადგურება მოსკოვთან. ეს სიმბოლურია. ამ დღეებით დაიწყო ჩვენი საერთო გზა — ბოროტების ძალებზე გამარჯვების გზა ომში, რომელშიც ჩვენ მოკავშირეები ვიყავით.

ასე შეგვახსენებს ისტორია ჩვენს შესაძლებლობასა და ჩვენს პასუხისმგებლობას.

თვით ის ფაქტიც, რომ დღეს ხელს ვაწერთ ხელშეკრულებას საბჭოთა და ამერიკული სამფაულო და ნაკლები სიშორის ბირთვული რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ, რომლებიც ჯარად უნდა ვაქციოთ, გამოხატავს ჩვენი სახელმწიფოების უნარს — იაესტორინ დიდი პასუხისმგებლობა ისტორიის გარდამტეხ ეტაპებზე.

რა თქმა უნდა, ეს იქნება პირველი ნაბიჯი იმ უბრძოვო მსოფლიოს გზაზე, რომელი აშენების შესახებაც ვილაპარაკეთ ჩვენ, ბატონო პრეზიდენტო, რეიკიავიკში, მაგრამ ეს იქნება დიდი ნაბიჯი მომავალში, სწორედ იმ მომავალში, რომელსაც ესწრაფვიან ჩვენი ხალხები, ყველა ქვეყნის ხალხები.

ვაშინგტონში ჩამოვიდი იმ განზრახვით, რომ დავაჩქარო მოგრიგი და უფრო მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევა — მოვრიგდეთ, რომ სანახევროდ შევამცირებთ სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებას სტრატეგიული სტაბილურობის მტკიცე გარანტიის პირობებში.

ჩვენ იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ გავამართავთ უაღრესად სერიოზულ და გულახდილ დიალოგს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სხვა საკითხებზეც.

სსრ კავშირის თანამედროვე საგარეო პოლიტიკა უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება საბჭოთა საზოგადოების შინაგან გარდაქმნას. საბჭოთა ხალხი გაბედულად დაადგა ყველა სფეროს — ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი სფეროების კარდინალური გარდაქმნებისა და განვითარების გზას.

ამ გარდაქმნების წარმატების გადამწყვეტი წინამძღვარია დემოკრატიზაცია და საჯაროობა. ისინივეა იმის გარანტია, რომ ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას და რომ აღებული კურსი შეუქცევადია. ასეთია ჩვენი ხალხის ნება.

ასეთ მასშტაბურ გეგმებს რომ სახავენ, საბჭოთა ადამიანები სინსხლორცეულად არიან დაინტერესებული მთელ დედამიწის ზურგზე მშვიდობის შენარჩუნებითა და დამკვიდრებით.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონებო!

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, განაგრძობენ რა თანამშრომლობას ყველა ხალხთან, თავიანთ ადგილს დაიკავებენ მომავალი XX საუკუნის ისტორიაში არა მარტო როგორც ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირენი, არამედ აგრეთვე როგორც სახელმწიფოები, რომლებიც კაცობრიობას უღებენ უსაფრთხო, ბირთვული განადგურების საშიროებისაგან თავისუფალ მსოფლიოში გასვლის კარს.

საბჭოთა ხალხის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ მზად ვართ ბოლომდე გამოვიაროთ ჩვენი წილი გზა იმ გულწრფელობითა და პასუხისმგებლობით, რომელიც დიად მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შეაფერის.

გმადლობთ.

* * *

რ. რეიგანისა და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლები დამსწრეთ უყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

ორი სახელმწიფოს ხელმძღვანელები თეთრ სახლში შედიან.

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონია. საკადესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ვაშინგტონი. 8 დეკემბერი (საკადესის სპეც. კორ.). დღეს ფანფარებისა და დოლის ხმამ თეთრ სახლში აუწყა, რომ დაიწყო ორი კლასის ბირთვული იარაღის — საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერის საზეიმო ცერემონია.

...13 საათი და 30 წუთია ადგილობრივი დროით. ჭიშკრიდან სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ალმებით მორთული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მანქანა სამხრეთ-დასავლეთის კარიბჭის გავლით მივიდა დიპლომატიურ სადარბაზოსთან.

მ. ს. გორბაჩოვი და პრეზიდენტი რ. რეიგანი, რომელიც მის თეთრი სახლის შესასვლელთან დახვდა, ადიან წითელ სასტუმრო ოთახში და მიემართებიან აღმოსავლეთის დარბაზისაკენ.

დარბაზში სხედან ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. იაკოვლევი, ა. თ. დობრინინი, ვ. მ. კამენცევი, ს. თ. ახრომეევი, ა. ს. ჩერნიაევი, ი. ვ. დუბინინი, მეცნიერებისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

აქვე არიან ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ჯ. ბუში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯ. შულცი, სხვა ამერიკელი ხელმძღვანელები.

რ. რეიგანი მივიდა მიკროფონთან და თქვა:

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თეთრ სახლში. ეს ცერემონია და ხელშეკრულება, რომელსაც დღეს ვაწერთ ხელს, იმის შესანიშნავი მაგალითია, რაოდენ დიდ ნაყოფს იღებს მოთმინება. 6 წელზე მეტი ხნის წინათ, 1981 წლის 18 ნოემბერს, მე პირველად შემოგთავაზეთ ის, რასაც შემდგომში „ნულოვანი ვარიანტი“ ეწოდა. და ეს წინადადება იყო მარტივი, შეიძლება ითქვას, საოცრად მარტივი.

წინა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით ამ ხელშეკრულებამ არა მხოლოდ დააკანონა არსებული მდგომარეობა ან შეიარაღების ზრდა. იქ ლაპარაკი იყო არა მარტო იმაზე, რომ კონტროლი დაუწესდეს გამალებულ შეიარაღებას, იქ ისტორიაში პირველად „შეიარაღების შემცირების“ ფორმულირება შეცვალა „შეიარაღებისადმი კონტროლის“ ფორმულირებამ, და ამ შემთხვევაში საქმე ეხება ამერიკული და საბჭოთა ბირთვული რაკეტების მთელი კლასის სრულ ლიკვიდაციას. ამან, რა თქმა უნდა, მოითხოვა მკვეთრი ძვრა აზროვნებაში და გარკვეული დრო იმისათვის, რომ ეს მიდგომა გასაგები გამხდარიყო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. რეაგირება მასზე არცთუ ერთმნიშვნელოვანი იყო: ზოგს ნულოვანი ვარიანტი აუხდენელ ოცნებად და რაღაც არარეალურად ესახებოდა. ზოგისთვის კი იგი მარტოოდენ პროპაგანდისტული ფანდი იყო. მაგრამ მოთმინების, შეუპოვრობისა და ამ მიზნის ერთგულების წყალობით ეს აუხდენელი ოცნება რეალობად ვაქციეთ. ბატონო გენერალურო მდივანო, დარწმუნებული ვარ, თქვენ იცით კრილოვის ცნობილი იგავ-არაკი „გედი, კიბო და ქარიყლაპია“. ერთხელ ამ სამეულმა გადაწყვიტა ადგილიდან დაეძრა ურემი და შეება შიგ. ურემი მძიმე არ იყო, მაგრამ მთელი ჯაფის მიუხედავად, ვერაფრით ვერ დაძრეს ადგილიდან. საქმე ის არის, რომ გედი ზემოთ ეწეოდა, კიბო უკან-უკან იხევდა, ქარიყლაპია კი წყლისკენ მიიწევდა. საბოლოოდ ურემს გახდნენ და ურემი ახლაც იქ დგას.

შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ზნეობის ცნებებში ჩვენს ქვეყნებს შორის კვლავ სერიოზული და ფუძემდებელი განსხვავებაა. მაგრამ დღეს, ყოველ შემთხვევაში, ამ საარსებო მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით ვხედავთ, რის მიღწევა შეიძლება, როცა ერთი მიმართულებით ვიწევთ ჭიანს. მხოლოდ ციფრები მეტყველებს ამ შეთანხმების დიდ მნიშვნელობას: საბჭოთა მხარე 1500-ზე მეტ უკვე განლაგებულ ქობინს მოხსნის რაკეტებიდან, და მოისპობა მიწისზედა ბაზირების ყველა საშუალო სიშორის რაკეტა, მათ შორის სს-20 რაკეტები.

ჩვენი მხრივ მოვსპობთ ყველა „პერშინგ-2“ რაკეტას და მიწისზედა ბაზირების ფრთოსან რაკეტებს, რომლებზეც 400-ზე მეტი ქობინია. დამატებით სათადარიგო რაკეტებს ორივე მხარე აგრეთვე მოვსპობთ.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა სცილდება წმინდა ციფრობრივი ცნებების ფარგლებს. ჩვენ ვიცით ძველი რუსული ბრძნული ანდაზა, და, დარწმუნებული ვარ, თქვენც იცით იგი, ბატონო გენერალურო მდივანო, თუმცა ჩემი გამოთქმით მისი გაგება გაგიჭირდებათ, ამ ანდაზაში ნათქვამია: ენდე, მაგრამ შეამოწმეო.

მ. ს. გორბაჩოვი: ამას ყოველ შეხვედრაზე ვიმეორებთ **(სიცილი, ტაში).**

რეიგანი: მე იგი მომწონს.

ეს შეთანხმება ითვალისწინებს კონტროლის უმკაცრეს რეჟიმს, რომელიც ოდესმე განხორციელებულა, როცა ინსპექტორთა ჯგუფები პრაქტიკულად იცხოვრებენ მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე, აგრეთვე სხვა სახეობათა შემოწმებას ადგილებზე, ეს ხელშეკრულება იცავს ამერიკის მეგობრებისა და მოკავშირეების ინტერესებს, და იგი აგრეთვე ხორცს ასხამს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს — მხარეების სამხედრო პროგრამებისა და შეიარაღებული ძალების მიმართ მეტ საჯაროობაზე მოთხოვნილებას.

შეგვიძლია მხოლოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ისტორიული ხელშეკრულება იქნება არა თვითმიზანი, არამედ დასაბამს მისცემს სამუშაო ურთიერთობას და საშუალებას მოგვცემს ხელი მოვკიდოთ ჩვენ წინაშე დასახულ სხვა პრობლემებს, ისეთ აქტუალურ პრობლემებს, როგორიც არის: ბირთვული სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ბალანსი, დამანგრეველი და ტრაგიკული რეგიონალური კონფლიქტები, რომლებიც ჩვენი პლანეტის ესოდენ ბევრ რეგიონში ხდება, და ადამიანის უფლებებისა და იმ ბუნებრივი უფლებების დაცვა, რომლებიც ღმერთმა ყველა ადამიანს მიანიჭა.

მინდა მადლობა გადავუხადო და მივულოცო ყველა აქ დამსწრეთ, რომლებმაც დიდი ძალისხმევა მოაბმარეს იმას, რომ ეს ოცნება ახდენილიყო, და უწინარესად ელჩებს გლიტმანსა და ობუზოვს. მინდა კიდევ ერთი რუსული ანდაზა მოვიყვანო — როგორც ხედავთ, რუსული ანდაზების სპეციალისტი ვხდები: მოსავალი ცვარს კი არა, ოფლს მოჰყავს. მინდა გენერალურ მდივანს გორბაჩოვს შევთავაზო, რომ ელჩებს მივცეთ უკანასკნელი განკარგულება: ისარგებლეთ დამსახურებული დასვენებით.

(დასასრული მე-3 გვ.).

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

დიდი ოქტომბრის სოციალური, პოლიტიკური, სულიერი პოტენციალი კვლავ უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს განვითარებაზე. ეს ხაზგასმით აღინიშნა „დიდი ოქტომბერი და თანამედროვეობა“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელმაც 8 დეკემბერს დაიწყო მუშაობა მოსკოვში. კონფერენციაში მონაწილეობენ თითქმის 70 ქვე

ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას

(დასასრული)

ახლა კი ბატონო გენერალურო მდივანო, ორიოდე სიტყვას ხომ არ იტყოდით, სანამ შეთანხმებას ხელს მოვაწერდეთ?

შეკრებილთ მიმართავს მ. ს. გორბაჩოვი. მან თქვა:

ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო, ამხანაგებო!

შთამომავალნი თავიანთ ვერდიქტს გამოიტანენ იმ მოვლენის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ჩვენ თვალწინ ხდება. მაგრამ გავბედავ და ვიტყვი: იმას, რასაც ახლა ვიზამთ — ხელს მოვაწერთ პირველ შეთანხმებას ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის შესახებ, — საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს როგორც მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით, ისე ჰუმანიზმის თვალსაზრისითაც.

ყველას, მაგრამ, უწონარეს ყოველსა, ჩვენს ორ დიდ სახელმწიფოს, ხელშეკრულება, რომლის ტექსტი ამ მაგიდაზე დევს, უსაზღვრ დიდ შანსს, საშუალებას გვაძლევს გავიდეს, ბოლოს და ბოლოს, გზაზე, რომელიც გვაშორებს კატასტროფას, ყველას რომ ემუქრება. ვალდებული ვართ ეს შანსი სრულად გამოვიყენოთ უბრთვო მსოფლიოსაკენ ერთობლივ მოძრაობაში, რომელიც ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს და მათს შვილებსა და შვილიშვილებს ჰპირდება სრულფასოვან ბედნიერ ცხოვრებას, როცა აღარ ექნებათ შიში და უაზროდ არ მოხმარდება რესურსები მოსპობის საშუალებებს.

შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჩვენ ვრგავთ ამ ნერგს, რომელიც უნდა გადაიქცეს მშვიდობის მძლავრ ხედ. მაგრამ, ალბათ, ჯერ ნაადრევია ერთმანეთს დავურიგოთ დაფნის გვირგვინები. დიდმა ამერიკელმა პოეტმა და ფილოსოფოსმა ემერსონმა თქვა: „კარგად გაკეთებული საქმისათვის საუკეთესო ჯილდო მისი გაკეთებაა“.

მაშ, მოდით დავაჯილდოვოთ ჩვენი თავი და შევუდგეთ საქმეს. შრომასა და დავაში განვლეთ თითქმის 7-წლიანი გზა. ისოი დაგვრჩენია, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ამ მაგიდისაკენ, რომ შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ.

დაე, 1987 წლის 8 დეკემბერი გახდეს თარიღი, რომელსაც შეინახავენ ისტორიის სახელმძღვანელოებში. თარიღი, რომელიც მონიშნავს ზეყალგამოფეს, ბირთვული საფრთხის ზრდის ერას კაცობრიობის ცხოვრების დემილიტარიზაციის ერისაგან რომ მიჯნავს.

რ. რეიგანისა და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებს ტაშით შეხვდნენ.

ორი ქვეყნის ხელმძღვანელები მიემართებიან მაგიდისაკენ, რომლის გვერდით აღმართულია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშები. ისინი ხელს აწერენ ხელშეკრულებას საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ — დოკუმენტს, რომელიც კეთილი ნების, ახალი პოლიტიკური აზროვნების დასტურია. იგი თანაბრად სჭირდება როგორც სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, ისე მთელ პლანეტაზე საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებასაც.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ თეთრი სახლის ოვალურ დარბაზში გაიმართა მ. ს. გორბაჩოვისა და რ. რეიგანის საუბარი.

გაანვამტკიცოთ ნდობა და ურთიერთგაგება

ვაშინგტონი, 8 დეკემბერი (საკ.ინფორმ. სააგ. კორ.). საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დღეს თეთრ სახლში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა და სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა მიმართეს საბჭოთა და ამერიკელ ხალხებს.

დღეს მე, შეერთებული შტატების სახელით, და გენერალურმა მდივანმა, საბჭოთა კავშირის სახელით, ისტორიაში პირველად ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ამერიკული და საბჭოთა ბირთვული შეიარაღების მთელი კლასის ლიკვიდაციის შესახებ. ჩვენ ისტორიული ნაბიჯი გადავდგით, თქვა პრეზიდენტმა.

როდიდენ განსხვავებულიც უნდა იყოს ჩვენი სისტემები, ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის მტკიცე კავშირია. ეს არის ჩვენი საერთო ოცნება მშვიდობაზე. 40 წელზე მეტი ხნის წინათ ვმონაწილეობდით დიდ ომში როგორც მოკავშირეები. იმ დღეს, როცა მოსკოვში მოვიდა ცნობა კაპიტულაციის შესახებ, ხალხმა თავი მოიყარა ამერიკის საელჩოს წინ. ეს შეკრებილნი მიესალმებოდნენ მეგობრულ ურთიერთობას ქვეყანასთან, რომელმაც მეორე ფრონტი გახსნა და სურსათსაოვაგზს, საბრძოლო მასალებსა და სატვირთო მანქანებს უგზავნიდა საბჭოთა ხალხს, რომელმაც უდიდესი ვაჟკაცობა და ნებისყოფა გამოიჩინა და უკუაგდო აგრესორი.

ერთი ახალგაზრდა ამერიკელი დიპლომატი შოჯვიანებით ყვებოდა, რომ ამ ხალხში ყოფილა საბჭოთა ჯარისკაცი, რომელიც წამდაუწუმ იმეორებდა: „ახლა კი ვიცხოვრებთო“. მოგონებათა ოთწლეულებში ამ ჯარისკაცის ოცნების — „ახლა კი ვიცხოვრებთო“ — ახდომას მეტისმეტად ხშირად ეშლებოდა ხელი, ყოველ შემთხვევაში, თუ ვილაპარაკებთ ჩვენს ორ ქვეყანას შორის ნამდვილ მშვიდობაზე. მაგრამ ჩვენ, ამერიკელებს, არასდროს არ ეჭვგვყვეტია ლოცვა მშვიდობისათვის, ჩვენ გვინდა, რომ მსოფლიოს ყველა კუთხეში დადგეს ცხოვრების დრო.

ვინც არ გვიცნობს, მხოლოდ იმათ ჰგონიათ, თითქოს ამერიკა — ეს არის ქვეყანა, რომელსაც მატერიალურ ღირებულებათა გარდა არაფერი აინტერესებს. მაგრამ ნამდვილი ამერიკა — ეს არ არის მარტო ხორცით, რძით და ყოველგვარი საქონლით სავსე საკვერო ცენტრები, ეს არ არის მანქანებით სავსე ჩქაროსნული ავტოსტრადები, არა, ნამდვილი ამერიკა, ეს არის რწმენისა და ოცვის ქვეყანა. ამის დადასტურება შეგიძლიათ იპოვოთ ჩვენს ეკლესიებში, სინაგოგებსა და მეჩეთებში, ჩვენს სახლებსა და სკოლებში. როგორც ერთ-ერთმა ჩვენმა დიდმა მწერალმა თქვა, ამერიკა, ეს არის გულის, საერთოსაკაცობრიო გულის სწრაფვა. ჩვენ გვინდა ისეთი მსოფლიო, სადაც ოცნება აუხდება ყველას, ვინც ესწრაფვის იმას, რომ მათი ოცახები ცხოვრობდნენ თავიანთ ოჯახებსა და უშიშროების პირობებში. მე მწამს, რომ თუ ჩვენს ორ ქვეყანას ვაჟკაცობა და ბოროტება ეყოფა, მივაღწევთ ასეთ მსოფლიოს.

* * *

მიგმართავ ჩემს თანამემამულეებს — საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, მიგმართავ ამერიკელ ხალხს, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

ეს-ეს არის პრეზიდენტმა რეიგანმა და მე ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად ისტორიაში პირველად განადგურდება — უმკაცრესი კონტროლით — მთელი ორი კლასის ბირთვული შეიარაღება.

საბჭოთა და ამერიკული საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების სრული ლიკვიდაციის ხელშეკრულება — დარწმუნებული ვარ — ისტორიული თარიღი გახდება უომო მსოფლიოსაკენ ადამიანთა მარადიული სწრაფვის მატიანეში.

დღეს, სამწუხაროდ, ბირთვული კატასტროფის რისკი რჩება. იგი ჯერ კიდევ დიდია. მაგრამ გვწამს, რომ კაცობრიობას უნარი შესწევს აღკვეთოს თვითგანადგურების საფრთხე.

ჩვენ გვაამედებს, რომ მსოფლიოში ყველას სულ უფრო მეტად ესმის იმ სამშიროების არსი, რომელმაც კაცობრიობის წინაშე ყოფნა-არყოფნის საკითხი წამოჭრა.

ადამიანის სიცოცხლის წმინდათაწმინდა უფლებას ახლა ახალი, გლობალური შინაარსი მიენიჭა. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ მოღვაწეებს, სახელმწიფო ხელმძღვანელებს, რომლებიც ძალამოსილი არიან თავიანთი ხალხების -ნებით.

მიღწეული მხოლოდ დასაწყისია, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა. ეს ჯერ ბირთვული განიარაღების მხოლოდ სტარტია, თუმცა, როგორც ცნობილია, ყველაზე დიდი მოგზაურობაც კი პირველი ნაბიჯით იწყება.

ამ სტარტიდან მოძრაობა მოითხოვს აზრის შემდგომ დაძაბულ მუშაობას და პატიოსან ძალისხმევას. უშიშროებაზე, ყოველივე იმაზე, რაც გამოტანილ შეიარაღებას ასაზრდოებს, ზოგიერთი ისეთი წარმოდგენის უკუგდებას, რომელიც დღეს ზოგს უდავო ჩგონია.

მთავარია, რაც შეიძლება მალე იქცეს რეალობად შეთანხმებანი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების რადიკალური შემცირების შესახებ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შენარჩუნების პირობებში, ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ.

თითოეული ამ პრობლემის გამო საბჭოთა კავშირმა კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა. მიგვაჩნია, რომ მათ შესახებ მორიგებანი ხელმისაწვდომია.

ამედი გვაქვს, თქვა შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელმა, რომ გაისად სსრ კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის საპასუხო ვიზიტის დროს მივაღწევთ ხელშეკრულებას არსებული სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შრაკტიკულად ნახევრის ლიკვიდაციის შესახებ.

ორის შესაძლებლობა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ მნიშვნელოვნად შევამციროთ ევროპაში ჩვეულებრივი ჯარები და შეიარაღება, რომელთა ზრდა და სრულყოფა სამართლიან შეშფოთებას იწვევს.

როცა ყოველივე ეს მოხდება, შეგვეძლება გულდაჯერებით ვთქვათ: უსაფრთხო მსოფლიოსაკენ წინსვლას შეუქცევადი ხასიათი მიენიჭა.

მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაცია, განიარაღება განვითარებისათვის — მთავარი და, კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ეფექტიანი გზაა სხვა პრობლემების გადაჭრისაკენ, რომლებსაც კაცობრიობა რეალურად წაწყდა XX საუკუნის მიწურულს, — ეკოლოგიის, ახალი ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგების, ენერგეტიკის, მასობრივი სიღატაკის, შიმშილისა და ავადმყოფობის, საოცარი დავალიანების, ათობით ხალხისა და სახელმწიფოს მრავალფეროვანი ინტერესებისა და ფასეულობათა ურთიერთგაგების ბალანსის დარღვევის პრობლემების გადაჭრისაკენ.

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ახალი მიდგომები ეროვნული და საყოველთაო უშიშროების პრობლემებისადმი.

ვიცი: საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გამო ზოგიერთი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი უკვე ბჭობს — ვინ გაიმარჯვა? მე უარვყოფ საკითხის ასეთ დაყენებას. ეს ძველი აზროვნების ანაქრონიზმია.

გაიმარჯვა საერთო აზრმა. გაიმარჯვა გონიერებამ. თუმცა ჯერჯერობით ეს ყველაზე დიდი გამარჯვება როდია. მაგრამ პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იგი მეტად მნიშვნელოვანია. იგი შეესაბამება მსოფლიოს ყველა კუთხეში ამ მიღიონობით ადამიანის მისწრაფებებსა და ინტერესებს.

ადამიანებს სურთ იცხოვრონ მსოფლიოში, სადაც ამ არ მოუწევთ ყოველდღიურად მილიონობით დოლარი ხარჯონ იარაღისათვის, რომელიც შეუძლოთ მხოლოდ საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოიყენონ.

ადამიანებს სურთ იცხოვრონ მსოფლიოში, სადაც ყველას ექნება უზრუნველყოფილი სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების უფლებები და, რა თქმა უნდა, ადამიანის სხვა უფლებები, რომელთა რეალური უზრუნველყოფის გარეშე ნორმალურად ვერ იცხოვრებს ვერც ერთი განვითარებული საზოგადოება.

მსოფლიოში, სადაც უმცირესობის კეთილდღეობა სხვათა სიღატაკისა და ვაგაბონდობის ფასად ხდება. მათ სურთ ჭერდეთ არა მარტო სამხედრო, არამედ ეკონომიკური უშიშროებაც.

ადამიანებს სურთ იცხოვრონ დემოკრატიულ და თავისუფალ მსოფლიოში, სადაც ყველა თანასწორია, სადაც თითოეულ ხალხს აქვს სოციალური არჩევანის უფლება გარედან ჩაურევლად.

ადამიანებს სურთ იცოდნენ სიმართლე ერთმანეთის შესახებ და იგრძნონ, ბოლოს და ბოლოს, ერების, ეთნიკური ჯგუფების, ენების და კულტურების დიადი საერთო საკაცობრიო ნათესაობა.

შეიძლება თუ არა ასეთი მსოფლიოს აშენება? ჩვენ საბჭოთა კავშირში დარწმუნებული ვართ: დიახ, შეიძლება. მაგრამ ამისათვის საჭიროა აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის ყველაზე რადიკალური გარდაქმნა.

ასეთი მსოფლიოსაკენ რომ ვიაროთ, საჭიროა შემოქმედებითი სითამამე, ახლებური აზროვნება, არა მარტო საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ინტერესების, არამედ აგრეთვე სხვა ქვეყნების ინტერესების სწორი შეფასება და გათვალისწინება. საჭიროა პოლიტიკური ნება და უდიდესი პასუხისმგებლობა.

საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით და მთელი ჩვენი ხალხის სახელით ვაცხადებ: საერთაშორისო საქმეებს ახლაც და მომავალშიც წარმართავთ პასუხისმგებლობის გრძნობითა და სერიოზულად, ვიცით ჩვენი ინტერესები. მაგრამ ვისწრაფვით ისინი შევუხამოთ სხვების ინტერესებს, მზად ვართ ანგარიში გავუწიოთ ერთმანეთს თანასწორუფლებიანობის პირობებში.

* * *

რ. რეიგანისა და მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლები მსოფლიოს წამყვანმა ტელეკომპანიებმა გადასცეს

საერთაშორისო ურთიერთობის მშვენებლობა საერთო საქმეა

ვაშინგტონი. 9 დეკემბერი. (საკ.ინფ. სააგ. კორ.). სამშაბათს აქ საბჭოთა საელჩოში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ამერიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. იაკოვლევი, ა. თ. დობრინინი, ვ. მ. კამენცევი, ს. თ. ახრომეევი, ა. ს. ჩერნიაევი, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, კულტურის ოსტატები.

დარბაზში იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში, უდიდეს გავლენას ახდენენ როგორც პოლიტიკის, ისე საზოგადოებრივი განწყობილების ჩამოყალიბებაზე.

ზოგიერთ მათგანს მ. ს. გორბაჩოვი უკვე წინათაც შეხვედრია, გუზიარებია მათთვის აზრი, კერძოდ, „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის“ მოსკოვში გამართულ ფორუმზეც.

საელჩოში შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი: ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკრებული ქალაქების ასოციაციის პრეზიდენტი თ. ჰიტინსი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი სსრ კავშირში ჯ. კენანი, თავდაცვითი ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელი ჯ. ლაროკი, „ბავშვები როგორც მშვიდობისმყოფელნი“ ორგანიზაციის პრეზიდენტი პ. მონტანდონი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს პრეზიდენტი ჯ. რენდოლფი, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე უ. ფულბრაიტი, ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივანი გ. ჰოლი, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის შვილი, ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მოღვაწე ს. ეიზენჰაუერი, სამეცნიერო სამყაროს წარმომადგენლები: სმიტსონის ინსტიტუტის პრეზიდენტი რ. ადამსი, ეკონომისტი კ. გალბრეიტი, „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიო ექიმთა მოძრაობის ამერიკელ თანათავმჯდომარე ბ. ლაუნი, ასტროფიზიკოსი კ. საგანი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი მ. შულმანი, სტანფორდის უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიული კვლევის ცენტრის დირექტორი ს. დრელი, კულტურის მოღვაწენი: მომღერალი, ომის საწინააღმდეგო სიმღერების შემსრულებელი ჯ. დენვერი, კინომსახიობები რ. დე ნირო, პ. ნიუმენი, მომღერალი, საზოგადო მოღვაწე ი. ონო და სხვები.

შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

მოხარული ვარ, გულწრფელად მოხარული ვარ ამ შეხვედრისა და გულითადად მოგესალმებით ამ დარბაზში. ვაფასებ, რომ აქ მოვიდნენ ისინი, ვინც, თავისი დიდი მოუცლელობის მიუხედავად, გამოუხმაურა წინადადებას, მიატოვა თავისი საქმეები, რომ შეხვედროდა. და თუ ჩვენ გვაქვს ერთმანეთისადმი სულიერი ლტოლვა, ეს ბევრს ნიშნავს. ამიტომ გმადლობთ ამ სულიერი ლტოლვისათვის. **(ტაში).**

ენ-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ 80 ათასი წერილი მივიღე ამერიკელებისაგან. ეს გარდა იმისა, აქ რომ მოვიდა, საელჩოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩემი თანამოქალაქეებისაგან თვეში ვიღებ 70-120 ათას წერილს. ასე რომ ფოსტა შესაფერისია.

აი, მწერს 17 წლის ემილი ჰოლდერსი: „მრავალი ამერიკელი არ ენდობა რუსებს, მრავალი რუსი არ ენდობა ამერიკელებს. ჩვენ მრავალი მიზეზი გვაქვს არ ვენდოთ მათ. მათაც მრავალი მიზეზი აქვთ არ გვენდონ ჩვენ, მაგრამ ვგრძნობ, რომ აქ რაღაც გვაკლია“. ასეთ კითხვას მაძლევს 17 წლის ადამიანი. და შემდეგ იგი განაგრძობს: „ჩვენ გვჭირდება ჩვენი საერთო გადარჩენისათვის საერთო პასუხისმგებლობის გრძნობა, ამიტომ ისე უნდა მოვკიდოთ ხელი პასუხისმგებლობის სამყაროს აშენებას, თითქოს ჩვენი ცხოვრება მასზე იყოს დამოკიდებული. თუ ჩვენ — ერთი ადამიანური ოჯახი — ვერ ვისწავლით თანამშრომლობას როგორც ერთიანი გვარი, ჩვენ უთუოდ გაგვანადგურებენ ჩვენივე ქმნილებანი. თუ ვისწავლით თანამშრომლობას, ამა იფიქრეთ, რა შესანიშნავი მომავალი გვესახება“. ეს უკვე ახალი ფილოსოფოსი ყალიბდება, ამასთან კარგი, ოპტიმისტური შეხედულების მქონე. კარგი ცვლა მოდის. მეორე წერილში, რომელიც მე და პრეზიდენტ რეიგანის სახელზეა მოსული, პირდაპირ არის დაყენებული საკითხი: „ბატონო პრეზიდენტო და გენერალურო მდივანო, თქვენ უკვე ოცდაათი ან ოცდაექვსი ოდენ ხელი ოფიციალურ ხელშეკრულებებზე, ოცდაათ ოდენ ომი ამოიღეთ ადამიანთა ცხოვრებიდან. ეს ოცდაათ ოდენ ომი ოცდაათ ოდენ ოჯახს ეკუთვნოდა. ეს ოცდაათ ოდენ ოჯახი ცხოვრობდნენ ოცდაათ ოდენ ადგილას. ეს ოცდაათ ოდენ ოჯახი ოცდაათ ოდენ ოცნებას ოცნებობდნენ. ეს ოცდაათ ოდენ ოჯახი ოცდაათ ოდენ ოცნებას ოცნებობ

დელეგაცია ყრილობიდან დაბრუნდა

9 დეკემბერს მოსკოვს დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ საფრანგეთის კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, „მოსკოვმშენ-1“ ტრესტის №6 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ვ. ა. ზატვორნიცკი. (საკვლევი).

ამჯერად ბერლინში

ურთიერთმორიგების თანახმად მიმდინარე წლის 11 დეკემბერს ბერლინში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრა.

იფრინონ და იდულუნონ მტრედებმა

საკვლევის ფოტო.

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დღეა

სოციალიზმის ისტორიულ დამსახურება

1948 წლის 10 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში პირველი დოკუმენტი — ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელმაც განსაზღვრა მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. მას შემდეგ ამ თარიღს ყოველწლიურად აღნიშნავს მთელი მსოფლიო, როგორც ადამიანის უფლებათა დღეს.

საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობა, მისი უფლებები და მოვალეობანი, ამ უფლებების გენეზისი და დანიშნულება კაცობრიობის პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ერთ-ერთი „მარადიული“ პრობლემაა. ათასწლეულის მანძილზე იგი მუდამ რჩებოდა იდეოლოგიური ბრძოლების მახვილად და იქნება სულ უფრო ფართო პოლიტიკურ ყოერადობას, შემდეგ კი იურიდიულადაც მკვიდრდებოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩრდილოეთ ამერიკაში შობილ ამ დარგის პირველ საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას, პირველ კონსტიტუციას, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციურმა მთავრობამ მიიღო 1789 და 1791 წლებში.

მაგრამ ეს დოკუმენტები, რომლებიც არ ეხებოდა სოციალურ-ეკონომიკური სფეროს, ითვალისწინებდა მხოლოდ ზოგიერთ მოქალაქეობრივ უფლებასა და პოლიტიკურ თავისუფლებას. ამავე მიმართულებით დასავლეთში კვლავ ვითარდებოდა წარმოდგენები ადამიანის უფლებათა შესახებ. არსებითად ისინი მოიცავს კერძო მესაკუთრის, მეწარმის უფლებებს.

ადამიანის უფლებათა ნამდვილი რეალიზაცია სოციალიზმის ტრიუმფია. დიდმა ოქტომბერმა პრინციპიულად ახალი ეტაპი შექმნა ადამიანის უფლებათა ევოლუციაში, პიროვნების შემოქმედებითი აქტიურობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების რეალიზაციაში მისი ყოველმხრივი განვითარების პირობებში. სოციალიზმმა არა მარტო გამოაცხადა ფართო წრის დემოკრატიული უფლებები და თავისუფლებები, არამედ ყოველნაირად უზრუნველყო ისინი. ეს არის მისი ისტორიული დამსახურება.

საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი კანონი იყო მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაცია, რომელიც 1918 წლის იანვარში მიიღეს. იგი შევიდა პირველ საბჭოთა კონსტიტუციაშიც. ასე დამკვიდრდა პოლიტიკური უფლებანი და თავისუფლებანი, სინდისის თავისუფლება და განათლების უფლება; გამოცხადდა მოქალაქეთა თანასწორობა; გაუქმდა ეროვნულ და რასობრივ კუთვნილებასთან დაკავშირებული პრივილეგიები. უფრო მნიშვნელოვნად გაიფართოვა ძირითადი უფლებებისა და მოვალეობების წრე სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ. ყველაზე მეტი სირულით კი საბჭოთა ადამიანების უფლებები და თავისუფლებები ასახულია სსრ კავშირის მოქმედ კონსტიტუციაში, რომელიც მიღებული იყო 1977 წელს.

სსრ კავშირის კონსტიტუციისა და პიროვნების უფლებათა შესახებ სხვა კანონების დებულებანი არა მარტო შეესაბამება საერთაშორისო აქტებს, არამედ მთელი რიგი პოზიციების მიხედვით შესამჩნევად წინ უსწრებს მათ. შემთხვევითი როდია, რომ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კანონმდებლობის გავლენით ისეთი კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებში, როგორიც არის საფრანგეთი, იტალია, იაპონია, უკვე ნახულნებია პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ზოგიერთ მოწოდებებისა და დებულებების ფორმით.

ადამიანის უფლებათა საკითხი ახლა სცილდება ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესების ფარგლებს. ამ დარგში განვითარებადი საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პრობლემაა ადამიანის სიცოცხლის, მშვიდობის უფლების უზრუნველყოფა, უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსით სარგებლობა, ურომლისოდაც სახეს ხსნა ეკონომიკური ინფორმაციის ცენტრალური ბანკი. ამ ბანკის ინფორმაციებზე ეფუძნება ეროვნული ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზებული სისტემა. ეს სისტემა ეხმარება ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას,

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი კატეგორიის პენსიონერი განთავისუფლებულია კომუნალური მომსახურების გადახახადებისაგან. სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით მას გადაიხდიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან ეს

შეღავათები ვეტერანებს

ეძლევათ იმ დამატებითი შემოსავლის ხარჯზე, რომელსაც იღებენ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობის მოგებიდან. აქ ჯეროვნად იზრუნეს პენსიონერების პირადი საკარმიდამო ნაკვეთებისთვისაც: მათ უსასყიდლოდ ეძლევათ საშენი მასალა და პირუტყვისათვის კომბინირებული საკვები. ასეთი ყურადღების პასუხად ვეტერანები კვლავ შრომობენ საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში და ფერმებში.

▼▼

ქართველ და უკრაინელ ლიტერატორთა შემოქმედებითი თანამშრომლობა ამ ორი ერის ურღვევი კავშირისა და სულიერი ძმობის ტრადიციების გამოვლინებაა. უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსის ტარას შევჩენკოს ახალი პოეტური კრებულის განთავსება ამ შემოქმედებითი ურთიერთობის ერთი მკაფიო მაგალითია. კრებულში

„ფიქრნო ჩემნო...“

შევიდა დიდი კობზარის რჩეული ლირიკა და პოემები. იგი უკრაინულ და ქართულ ენებზე ერთობლივად გამოსცეს „დნიპრომ“ და „საბჭოთა საქართველომ“. წიგნი შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და ქართულად თარგმნა კიევში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულემ, პოეტმა

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა **რ. ბასილაშვილმა.**

„ბანოთუბანს“ უკვე თამამად შეიძლება ეწოდოს „მხატვართუბანი“. როგორც იცით, უქმე დღეებში აქ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა ეწყობა. აქვე ხატავენ ისინი მსურველთა პორტრეტებსაც, არის საკომისიო მაღაზია, სადაც შეგიძლიათ ხელსაყრელ ფასად შეიძინოთ თქვენთვის სასურველი როგორც ფერწერული, ასევე გრაფიკული ნამუშევრები, ქალის სამკაული თუ მინიატიურული ნაკეთობანი. ყოველივე ამ სიკეთეს ისიც ემატება, რომ კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ამ დღეებში აქ გაიხსნება ახალგაზრდა მხატვართა კლუბი „ფიროსმანი“...

ასეთი სახლის გახსნაზე ნიკალა ჯერ კიდევ მაშინ ოცნებობდა, როცა გაიული საუკუნის მიწურულს ლუკმაპურისა და ჭიქა ღვინისათვის დუქან-დუქან დადიოდა და მიკიტან-მიდუქნეთა შეკვეთით „რაღაც-რაღაცეებს ხატავდა“...

გახსოვთ, რა უთხრა ახალგაზრდა ლადო გუდიაშვილს უკვე დაუძლურებულმა ფიროსმანმა, ავაშენოთ ერთი პატარა ქოხი, დავდგთ იქ მრგვალ მაგიდაზე სამოვარი, შემოვუსხდეთ გარშემო, ვსვათ ჩაი და მხატვრობაზე ვესაუბროთო. ახალგაზრდა მხატვართა კლუბში „ფიროსმანის ოთახიც“ არის. ერთ-ერთ კედელს მხატვარ დათო მაღრაძის მიერ შესრულებული ფიროსმანის დიდი პორტრეტი ამშვენებს, შუა ოთახში დგას მაგიდა, მაგიდაზე — სამოვარი... თითქოს ფიროსმანის სული დასტრიალებს „ქოხსაც“, მაგიდასაც და სამოვარსაც.

როცა „ფიროსმანში“ მივედი, მშვენელებს მოსაპირკეთებელი სამუშაოები დაემთავრებინათ და მასპინძლები ოთახებს ასუფთავებდნენ, აქვე იყო პროიექტის ერთ-ერთი ავტორი, ახალგაზრდა არქიტექტორი ავთანდილ მახარაძე.

— **ავთანდილ, შოთა ყავლაშვილთან ერთად დიდი პატივი გხვდათ შეგექმნათ ახალგაზრდა მხატვართა კლუბის პროექტი, რა თავისებურება ახლდა პროექტზე მუშაობას, თქვენ ხომ, ფაქტობრივად, უნიკალური ნაგებობა დაპროექტეთ?**

— ალბათ იცით, ეს ობიექტი ძველისძველი ამბანო, დამარხული იყო. აქ ორმოცდაათიან წლებში მსხვერპლიანი წყალდიდობა მოხდა და, ალბათ, ამანაც განაპირობა, რომ ამბანო მთლიანად დამარხეს. შემდეგ ზემოდან სახინკლე დაუშენეს. ერთი სიტყვით, ვიცოდით, რომ მიწის ქვეშ იყო დაახლოებით XVII საუკუნის ამბანოს ნაშთები. ამ სამოიდე წლის წინათ ამბანო გავთხარეთ.

— **რა მიზანი ჰქონდა გათხრებს?**

— მიწის ზედაპირზე მოგვექცია ისტორიული მნიშვნელობის ეს არქიტექტურული ძეგლი. როცა ამ ნაგებობის ორიგინალური ფორმა გამოჩნდა, საზვეების შუშაკებმა აქ სარდაფის ტიპის სახინკლის აშენება მოისურვეს, მაგრამ კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება — მოეწყოთ კულტურის კერა, კერძოდ, ახალგაზრდა მხატვართა კლუბი. ჩემი აზრით, ამ კლუბის გახსნა უბნის გაკეთილშობილების ჩინებული იდეაა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ენთუზიაზმი, თუ გნებავთ, თავდადებაც კი, რომელიც ამ კლუბის მშენებლობაზე გამოიჩინეს კომკავშირელებმა. ახლა რაც შეეხება არქიტექტურულ მხარეს: ეს არ არის ტიპური აღმოსავლური ან ქრისტიანული ნაგებობა, ეს ორივეს სინთეზი გახლავთ, და სწორედ ამით არის საინტერესო. შენობის ცენტრალურ ნაწილში ქედლები, რომლებზეც თაღოვანი გუმბათი დგას, რვაკუთხედს ქმნიან, შემდეგ ეს რვაკუთხედი კიბეების სახით ქვემოთ ეშვება და რვაკუთხა აუზს კრავს. როგორც ხედავთ, ამ ეგრეთ წოდებული აუზის შუაგულში დგას ბრინჯაოსგან ჩამოსხმული იკაროსის მცირე ქანდაკება, რომელიც როგორც შადრევნის, ასევე ფორუმის ფუნქციასაც ასრულებს — კიბეებზე მოწყობილი ტუავის რბილი სავარძლებით. აქვეა უალკოჰოლო ბარის ორიგინალური სარკმელიც. ასე რომ, საუბრების დროს, განსაკუთრებით თბილისური ცხელი ზაფხულის ჟამს, ჩვენს შემოქმედთ შეუძლიათ ისხდნენ სიგრილეში, მიირთვან გამაგრილებელი წყლები, ნაყინი და ლამაზ შადრევნის ირგვლივ ისაუბრონ ხელოვნებაზე...

— **როგორც ბრძანეთ, აქ ბანო ყოფილა. გათხრების შედეგად ხომ არ წააწყდით ისეთ ნიახლეს, რაც ადრე ცნობილი არ იყო არქეოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის?**

— როცა ყველაზე ღრმა კულტურულ ფენამდე დავედით, აღმოვაჩინეთ რვაკუთხა აუზი და კერამიკის მცირე თაღოვანი არხი, რომლითაც ამბანოს წყალი მტკვარს უერთდებოდა. ჩვენდა გასაკვირად, ეს არხი არ იყო მიწით ამოვსებული და ახალი შენობის საკანალიზაციო კომუნიკაციად გამოვიყენეთ, ხოლო რვაკუთხა აუზი — შენობის არქიტექტურული ფორმის საწყისად. გარდა ამისა, ახალი ღიობების გაჭრისას ვაწყდებოდით მიწით ამოვსებულ ძველ ღიობებს, ამგვარად, მშენებლობისა და გათხრების დროს გამოიკვეთა ნაგებობა, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩვენს ახალ პროექტს.

— **გამოდის, რომ ეს შენობა პირველნელი სახით აღგიდგენიათ.**

— ჩვენი მიზანი ეს არ ყოფილა, მაგრამ უნებურად ასე გამოვდა.

— **ბოლო წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს თბილისის ძველი უბნების აღდგენა-განახლება. დიდი ეროვნული საქმე კეთდება, მაგრამ ხშირად სიჩქარეში შეცდომებსაც ვუშვებთ. სულ ახლახან ნაწილობრივ დამთავრდა ლენინიძის ჭიჩის რეკონსტრუქცია, ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოახახლეს საკერავი მანქანების ოსტატები, იმ ადგილას, თურმე, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში „ზინგერის“ ფირმის საკერავი მანქანების მაღაზია ყოფილა, რომლის წინაც, ალბათ, ნიკალასაც ბევრჯერ ჩაუვლია. შემდეგ კი გამოახახლეს (და ვინ იცის, სად შეასახლეს) ოსტატები, რომლებიც თავისთავად ძველი თბილისის კოლორიტსაც წარმოადგენენ. რა უფრო მოუხდებოდა ლენინიძის რეკონსტრუირებულ, მართლაც, მშვენიერ ჭიჭას, საკერავი მანქანების ძველისძველი, მე ვიტყოდი, უნიკალური ხახელოსნო, თუ რაიმე სახაჭაპურე, რომლის მსგავსი ვინ იცის რამდენია თბილისში?**

— როცა ძველი უბნების აღდგენაში ან ნაწილობრივ შეცვლაში „ქირურგიულად“ ჩაერევი კაცი, კი არ უნდა მოაკლო რამე, პირიქით, უნდა გაამდიდრო, შეუნარჩუნო ან აღუდგინო პრეკანდელი სახე და დაკარგული ღირსება, თუ ფანტაზიის ნაყოფით რაიმე ახალი გაჩნდება, მზოლოდ უნდა გაამდიდრო. რაიმეს შეცვლა მხოლოდ გარკვეული დონით შეიძლება. საკერავი მანქანების ის ძველი სახელოსნო შეიძლება ტრანსფორმირებული და დაკნინებული იყო, მაგრამ სჯობდა, რომ შენარჩუნებულიყო, თანაც ქალაქის ცენტრშია. სასურველი არ არის ასეთი შეცდომები, ეს კოლორიტს დაუკარგავს ძველ უბნებს. როცა ძველ ფასვებს ვეხებით, სიფრთხილეა საჭირო.

— **ხომ არ არის გეგმაში ძველი ნანგრევების ან ნაგებობის ბაზაზე ახლის შექმნა, რომელსაც შემდეგ კლუბის ფუნქცია დაეკისრება?**

— ნავარაუდევია აქვე „გარნიზონის ბანოს“ რომ ეძახიან, იმ შენობის რეკონსტრუქცია და მუსიკოსთა კლუბის შექმნა. რამდენად რეალურია ამ მიზნის განხორციელება, მომავალი გვიჩვენებს.

— **სამწუხაროდ, თბილისელი ახალგაზრდები განებივრებულნი არ არიან თანამედროვე და ორიგინალური კლუბებით. იქნებ დროა, ამ პრობლემაზეც გვიზრუნა? ამ პრობლემის გადაჭრა არანაკლებ როლს შეასრულებდა მოზარდთა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენების საქმეში.**

— ჩემი აზრით, ახალგაზრდა მხატვართა კლუბის შექმნა თბილისში „საკლუბო მოძრაობის“ დასაბამია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი კომკავშირს ენიჭება.

— **რას მისცემს კლუბი ახალგაზრდა მხატვრებს?**

— უფნარესად, ეს კლუბი მათ დაეხმარება შემოქმედებით ზრდაში. ერთია, როცა ინდივიდუალურად მუშაობ, და — მეორე, როცა შენი კოლეგების ნამუშევრებს, მათ სტილს ეცნობი, და არა მარტო მათ სტილს, თვით კოლეგებსაც. ამ მყუდრო გარემოში დამყარდება კონტაქტი და კეთილმოსურნე განწყობა მხატვრებს შორის, ფაქტობრივად უს იქნება მათი სახლი, სახლი კი, მოგეხსენებათ, ოჯახია...

— **ხანგაზრდულ მხატვრებს არ შეურთ?**

— ეს კლუბი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოეწყო, და ახალგაზრდა მხატვართა კლუბი ჰქვია, მაგრამ აქ მოვლენ ყველა თაობის წარმომადგენლები, და არა მარტო მხატვრები, მოვლენ მწერლები, პოეტები, მუსიკოსები... კლუბის საგამოფენო დარბაზებში მოეწყობა მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, „საბაასო ჰოლ-აუზის“ გარდა, აქვეა მრავალშახნაგა აუზის ტიპის ბარიც.

— **რომლის მსგავსიც ჯერ არსად შეხვედრია...**

— სხვათა შორის, არც მე... ერთი სიტყვით, ეს კლუბი ჩვენი შემოქმედი ახალგაზრდობისათვის შესანიშნავი საჩუქარია.

ალბათ, ეს არის იმის საუკეთესო განხორციელება, რაზეც ნიკალა ოცნებობდა.

თ. ჭეიშვილი.



აბანოთუბანი. Ფ. კრიმსკის ფოტო.

რაზეც ნიკალა ოცნებობდა...

კონტაქტები

გულს გული იცნობს...

ყოველწლიურად ლატვიის სსრ ქალაქ ელგავის სახალხო თეატრი ნოემბერში დაარსების თარიღს დღესასწაულობს. იგი ყოველთვის საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობს და ელგაველები კვირეულში მონაწილეობას სთავაზობენ ხოლმე მათთვის სასურველ თეატრალურ კოლექტივებს როგორც თავისი რესპუბლიკიდან, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან.

წელს ელგავის სახალხო თეატრის დაარსების 28 წლისთავის დღეებში დღესასწაულზე მიწვეული იყო საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი ონის სახალხო თეატრი.

ონის სახალხო თეატრის მთავარმა რეჟისორმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გიგა ჯაფარიძემ კვირეულისთვის შეარჩია თეატრის ბოლო ნამუშევარი — დრამატურგ გურამ ბათიაშვილის პიესა „სოფლის გარდაცვალება“.

აღსანიშნავია, რომ ეს დადგმა რეგვითი იყო და უპირველესად ონელი მაყურებლისათვის მომზადდა. რეჟისორმა პიესისეული სატკივარი დაუკავშირა თანამედროვე რაჟის სატკივარს — სოფლის დაცარიელების თემას და სცენიდან, ეს უკვე მერამდენედ, შემოჰკრა განგაშის ზარს.

არჩევანმა იმედი გაამართლა, აღმოჩნდა, რომ ჩვენი სატკივარი ლატვიელებისთვისაც ორგანული ყოფილა, სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ენობრივი ბარიერის მიუხედავად, მაყურებელმა წარმოდგენის დედაარსი სწორად შეიფასა.

„თქვენმა სპექტაკლმა, თქვენმა ჩამოსვლამ დაამშვენა ჩვენი ქალაქის თეატრის იუბილე. ეს კვირეული ჩვენ ყველა ერთად ვეგზეთ ერთმანეთს. ვგრძნობდით, როგორ გაერთიანდა სცენა და დარბაზი, ჩვენ ერთი სულისკვეთებით ვცხოვრობთ, რადგან ეს პრობლემები საყოველთაოა“.

სხვადასხვა ფესტივალზე ვყოფილვარო, გაგვიმართავს გასტროლები, მაგრამ ასეთი უშუალო, პირადი კონტაქტი სულ სხვაა. ასეთი შეხვედრები გვამდიდრებს“.

ეს სპექტაკლის შემდეგ იქვე სცენაზე, ელგავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, ლატვიის სსრ კულტურის სამინისტროს მეთოდცენტრის წარმომადგენლებმა, ელგავის სახალხო თეატრის რეჟისორებმა გვითხრეს.

ლატვიის სსრ კულტურის სამინისტროს მეთოდცენტრმა ონის სახალხო თეატრი მაღალმხატვრული სპექტაკლისათვის ორი პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვა. თეატრის სამმა მსახიობმა დაიმსახურა ლაურეატის დიდი მედალი.

ც. გოგეჯიშვილი.

შეტევის მომენტი. ჯ. ლომაძის ფოტო.

ფრე „ვერდერის“ სასარგებლოდ

წლევანდელი საფეხბურთო სეზონი თბილისის „დინამომ“, სამწუხაროდ, მაყურული აკორდით ვერ დაასრულა — ჩვენი გუნდი გამოეთიშა უეფას თასისთვის ბრძოლას. არადა, მასპინძლები სულ ახლოს იყვნენ მიზანთან.

შესვენებამდე დინამოელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ და 31-ე წუთზე სულაქველიძის ზუსტი დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც — 1:0. აქედან მოყოლებული, „ვერდერის“ კართან ხედზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, გოლის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს შენგელიამ, ქეცბაიამ, 38-ე წუთზე კი გურულის უძლიერესი დარტყმა ძელმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. სტუმრებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაშმა დინამოელთა ნახევარზე გადმოინაცვლა. 61-ე წუთზე სტუმრებმა საპასუხო გოლი გაიტანეს — 1:1. ეს ანგარიში სტუმრებს აძლევდა ხელს და მეოთხედფინალშიც ისინი გავიდნენ.

საზღვარგარეთის პრესაში კვლავინდებურად ბევრი რამ საინტერესო ქვეყნდება კასპაროვ-კარპოვის მატჩის თაობაზე.

„როგორც ჩანს, გარი კასპაროვმა ჯეროვნად ვერ შეძლო თავისი ძალების კონცენტრაცია ამ მატჩისათვის, — წერს ცნობილი საერთაშორისო ოსტატი, ლობდონისა და მანჩესტერის „გარდიანის“ საჭადრაკო მიმომხილველი ლეონარდ ბარდენი, — თუმცა, ამას ხომ თავადაც აღნიშნავდა მრავალ მატჩისწინა ინტერვიუში, რომ მეტად ძნელია ზედიზედ მეოთხეულ ერთსა და იმავე მეტოქეს ეთამაშო. ამ ბრძივ კარპოვი, რომლის წინაშე დგას „დაკარგულის დაბრუნების“ ამოცანა, უკეთეს დგომარეობაშია. მას გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის მძლავრი სტიმული აქვს“.

მსოფლიო ეჩსჩემპიონმა ბორის სპასკიმ პარიზის გაზეთ „მონდში“, გამოაქვეყნა წერილი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: — „გარი ძალიან ჩაეფლო ნარი-ნარ არასაჭადრაკო თუ ნახევრად საჭადრაკო საქმეებში. მას ბევრი სამუშაო ჰქონდა დიდოსტატების ასოციაციის დაარსებასთან დაკავშირებით, დაწერა და გამოსცა „ოტბოიოგრაფია“ დ.ა. შ. ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ არა კარპოვთან ესოდენ პასუხსაგები შეხვედრის წინ. კარპოვი ხომ სულაც არ აპირებს ფარ-ხმალის დაყრას, პირიქით, მთელი თავისი ძალით ცდილობს დაკარგული წოდების დაბრუნებას. კასპაროვი კი ისე იქცეოდა, თითქოს ამდენი საქმე არც კი ჰქონდეს: ერთ ესპანელ ჟურნალისტს დაეინძლავა, 100 მეტრს 12 წამზე უფრო სწრაფად გავირბენო, ასეც მოხდა, — ეს დისტანცია 11,8 წამში დაფარა, მაგრამ ამასობაში რამდენი წუთი დაიკარგა, რომელიც საჭადრაკო პარტიისაგან მზადებას უნდა მოხმარებოდა!

დიდოსტატ ენტონი მაილს (ინგლისი) კი მიაჩნია, რომ ამ მატჩში ორივე მხარეს სერიოზული შეცდომები მოსდის. ვნახოთ, ვის უფრო ძმიმე შეცდომები მოუვა

საერთაშორისო ოსტატი მარიო ბერტიკი (იუგოსლავია): — მთელი ორთაბრძოლის მანძილზე ძალიან მოულოდნელი ამბები ხდება. მაგალითად, მე ვერაფრით ვერ მივხვდი, რად უნდოდა კასპაროვს მეორე ტაიმ-აუტი, საბოლოო შედეგზე თუ მეკითხებით, მე მგონია, კასპაროვი შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონობას.

საჭადრაკო ჟურნალისტი ბორის ტუროვი (საბჭოთა კავშირი): — მიხეილ ბოტვინიკმა მატჩის წინ სწორად თქვა, კარპოვის მთავარი კოზირი ამ შეხვედრაში მისი ბრწყინვალე ტექნიკა იქნებაო. რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონს, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო მისი რამდენიმე ძლიერი ქაიტნტი. მე განსაკუთრებული ინტერესით მოველი ბოლო, გადამწყვეტ პარტიებს.

დიდოსტატი ანდრაშ ადორიანი (უნგრეთი): — წინა მატჩებისაგან განსხვავებით ახლა მეტი პარტია მთავრდება ყაიმით. ჩემთვის მეტად მოულოდნელია, კასპაროვ შუა თამაშში თვალსაჩინო სიძნელეებს რომ განიცდის. ეს რომ არ მომზდარიყო, კარპოვს ესოდენ კარგი შესაძლებლობები არ შეექმნებოდა.

დიდოსტატი ნაიჯელ შორტი (ინგლისი): — კასპაროვს ამ მატჩში ბევრი შეცდომა მოსდის, განსაკუთრებით შუა თამაშში. ეს მაფიქრებინებს, რომ კარპოვი დაიბრუნებს მსოფლიო ჩემპიონობას.

გ. გამრეკელი.

ბოლო, მესამე ტაიმ-აუტი

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობაზე მატჩის 22-ე პარტიის წინ მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ბოლო, მესამე ტაიმ-აუტი აიღო. რეგლამენტით 22-ე პარტია კასპაროვსა და კარპოვს შორის უნდა მოეწყოს 11 დეკემბერს. ჯერჯერობით ანგარიშია 10,5:10,5.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ექსპერტებს მოვუსმინოთ

FIDE

ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ

ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲐᲓ

ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲙᲠᲝᲠᲐᲝᲜᲘᲡᲨᲘ ᲑᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲰᲐᲑᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗᲐᲪ ᲓᲐᲐᲭᲘᲠᲐᲠᲗᲐ.

ისინი არა მარტო მონაწილეობდნენ მშენებლობაში, არამედ სამუშაოთა ხარისხის თავისებური კონტროლიორებიც კი გახდნენ. ბინის ორდერები მიიღო რაიონული ცენტრის მუშა-მოსამსახურეთა ასამდე ოჯახმა.

სპბინაო მშენებლობის დარგში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად რაიადმასკომმა შეიმუშავა სპეციალური პროგრამა. პროგრამის რეალიზაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს სამშენებლო ორგანიზაციების გადასვლა სამეურნეო ანგარიშზე, საშუალებას იძლევა ხუთწლედის დამლევამდე ცალკე ბინით უზრუნველყოს ყოველი ოჯახი, რომელსაც კი იგი სჭირდება.

ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ 260-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲚᲘᲐ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲣᲠᲘᲗ.

— დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის დაცვას ჩვენთან დიდი ყურადღება ეთმობა, — უთხრა კორესპონდენტს ქალაქის ჯანდაცვის განყოფილების გამგემ დავთ დათიაშვილმა, — კლინიკურ პრაქტიკაში დანერგილია ულტრაბგერითი გამოკვლევების თანამედროვე მეთოდი.

ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ — ᲢᲘᲠᲐᲟᲘ!

25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ თბილისში შედგება საქართველოს სსრ ფულისა და ნივთმოგების ლატარიის მეცხრე გამოშვების ტირაჟი.

გათამაშდება: ავტომობილები, იმპორტული ავეჯის გარნიტურები, სხვა ნივთები და ფულადი მოგება.

სცადეთ, ბედნიერი ბილეთი ეგებ სწორედ თქვენ შეგხვდეთ!

სსრკ სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი; საქართველოს სარეკლამო სააგენტო.

რედაქტორის მოადგილე
დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ჯ. ნ. ᲐᲜᲗᲔᲚᲐᲕᲐ



საბჭოთა მედიცინამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 59 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა თვალსაჩინო დასტაქარი, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯიმშერ ნიკოლოზის ძე **ანთელავა.**

წავიდა ჩვენგან თავმდაბალი, უშუალო, ყველას მიმართ კეთილმოსურნე, შესანიშნავი ექიმი, მეცნიერი და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორი.

ჯ. ანთელავა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, სადაც მან დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1958 წლიდან იგი სამუშაოდ გადმოვიდა საქართველოში. 1963 წელს, 35 წლისა, ჯ. ანთელავა, უკვე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აირჩიეს თვალის სნეულებათა კათედრის პროფესორად. 1972 წლიდან ჯ. ანთელავა განაგებდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კათედრას.

მისი ინიციატივითა და მონაწილეობით ამენდა ახალი რესპუბლიკური თვალის სნეულებათა საავადმყოფო, რომლის ბაზაზე შემდგომ შეიქმნა რესპუბლიკის ოფთალმოლოგიური ცენტრი. ამ ცენტრს სწავლული მედიკოსი სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული ენერგიით უძღვებოდა.

წლების მანძილზე პროფესორი ჯ. ანთელავა ნაყოფიერად უთავსებდა ერთმანეთს სამეცნიერო, პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშობას: იყო საქართველოს ოფთალმოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის მთავარი ოფთალმოლოგი, ოფთალმოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი, რომლის დაარსებასაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო.

ჯ. ანთელავა აქტიურად მონაწილეობდა მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო ფორუმში. მისი პრობლემური ხასიათის გამოსვლები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

ჯ. ანთელავას ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. მის კალამს ეკუთვნის 3 ფუნდამენტური მონოგრაფია და 100-მდე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომა ოფთალმოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

პროფესორ ჯ. ანთელავას ნათელი სახელი და საქმე მუდამ დარჩება ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობის, შეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი; საქართველოს ოფთალმოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ᲓᲝᲛᲜᲐ ᲐᲑᲝᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ ᲪᲘᲪᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

Დ. Ი. ᲩᲮᲘᲙᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲯᲐᲚᲐᲕᲘ ᲙᲝᲛᲘᲗᲘᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 11 და 12 დეკემბერს 19 საათზე, განსვენებულის ბინაში (ილია ჭავჭავაძის პრ. 11). გამოსვენება — 13 დეკემბერს 15 საათზე.

დაკრძალვა გაიმართება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა ახალ პანთეონში.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — „90 წუთი“. 9.35 — მულტფილმები. 10.00 — უკრავს ა. ზიმაკოვი (გიტარა). 10.25 — გარდაქმნა. გამოცდილება და პრობლემები. დოკუმენტური ფილმები „სახმიღების პირველი ნაბიჯები“ და „მეექვსე საფეხური“. 11.00 და 18.00 — ახალი ამბები. 18.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ლაგიჩი“. 18.40 — მულტფილმი. 18.50 — ვისწავლოთ ლენინისაგან. ვ. ი. ლენინი პარტიის ყრილობებზე. 19.25 — „ანგლური რიტმები“. ანსამბლ „კიტუშის“ კონცერტი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჭადრაკი. 20.05 — მულტფილმი. 20.25 — ახალი ამბები. 20.30 — მხატვრული ფილმი „კულტსვლა თეატრში“. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — „ჩვენი მემკვიდრეობა“. ტელეალმანახი. 23.45 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი „გობელენი. ქანდაკება და ჩვენ“. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. ამინდი და მისი წინასწარმეტყველება. 9.55; 10.55 და 12.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 14.25 — ესპანური ენა. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. განვითარებადი ქვეყნები თანამედროვე ეტაპზე. 11.35 და 12.40 — ბიოლოგია. VII კლასი. წყალხმელეთა ცხოველები. 12.00 — ჩვენი ბაღი. 13.05 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „თხუთმეტი წლის კაპიტანი“. 14.55 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — სოფლის საათი. 20.15 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთი ციმბირი“. 20.25 — რიტმული ტანვარჯიში. 20.55 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — უკრავს მებანდურეთა ტრიო. 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჩიტის ზღაპარი“. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მხატვრული ფილმი „ურჩი“. 0.30 — ახალი ამბები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამა. 8.00—„90 წუთი“. 13.00—ნაშუადღევს. 16.05—დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.15—ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45—კონცერტი „შენგან ნამცნები სიყვარულით აღმენთოს გული“. 17.10 — მოსწავლეთათვის. საგუნდო მუსიკის კონცერტი. 17.50. სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის „თვალსაწიერი“. 18.40 — წერილის დღე. 18.50 — „ვისწავლოთ ლენინისაგან“ ვ. ი. ლენინი პარტიის ყრილობებზე (მ). 19.25 — ახალგაზრდობისათვის „შუქნიშანი“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ). 20.00 — მოამბე. 20.35 — წერილის დღე. 20.40 — „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“. „შორ იყო ციმბირამდე“. (მეორე გადაცემა). 21.15 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმებიანი კვარტეტის კონცერტი. 21.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 22.00 — „ვრემია“. 23.00 — მხატვრული ფილმი „წამსვლელი უნდა წავიდეს“.

მეორე პროგრამა. 17.35 — მხატვრული ფილ